ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1567598

ნომერი: AR1260741

თარიღი : 24.10.2014

გაცემის თარიღი : 29.10.2014

გაცნობის თარიღი : 30.10.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა მაჭარაშვილი პ/ნ 53001006581
- წყალტუბო თამარ მეფის ქ. N 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: "ქ. თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე განთავსებული ავტოსამრეცხაოების არქიტექტურულად მოწესრიგების ღონისძიების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის #01.14.11 დადგენილების თანახმად, დაუშვებელია ავტოსამრეცხაოს/ავტოტექმომსახურების ობიექტების ფუნქციონირება და მათი ძირითადი ფასადის ორიენტაცია ცენტრალური მაგისტრალების, ქუჩების მხარეს, ტროტუარებზე და სავალი ნაწილის სიახლოვეს. აღნიშნულის და იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტი განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს და სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე), არქიტექტურის სამსახურს თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად ამ კონკრეტულ ადგილზე როგორც ქალაქგეგმარებითი, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით ავტოსამრეცხაოს ფუნქციის ობიექტის (თუნდაც დროებითი სტატუსის მქონე მსუბუქი კონსტრუქციის ავტო/სამრეცხაოს) მშენებლობა არ მიაჩნია შესაძლებლად.

არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობა დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა გზის გასწვრივ ავტოტექმომსახურეობის ობიექტის განთავსების თაობაზე.

ასევე დამატებით გაცნობებთ რომ შპს „ზარაფხანა დეველოპმენტი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე N 01.13.02.005.009 №673964 გადაწყვეტილებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები–განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება–საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის შესაბამისად მიწის ნაკვეთის განვითარებაც შესაძლებელი იქნება განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების პროექტის შეთანხმების შემდგომ გრგს-ფარგლებში (მისი მონაცემების გათვალისწინებით).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.